სპიკერმა თავისი სკამი დეპუტატს შესთავაზა: "მოდი, ჩემს ადგილზე დაჯექი"



მილი მეჯლისის დღეს დაწყებულ პლენარულ სხდომაზე სპიკერსა და დეპუტატს შორის საინტერესო დიალოგი მოხდა. დიალოგი მილი მეჯლისის თავმჯდომარის, ოკტაი ასადოვის სხდომაზე ბიუჯეტის განხილვასთან დაკავშირებით მოსაუბრე პირების შესახებ ინფორმაციის გაცემის დროს მოხდა. დეპუტატმა ელმირა ახუნდოვამ ასადოვს სიტყვა არ დაამთავრებინა და თქვა: "სიტყვა დეპუტატებსაც მიეცით!". ამაზე ასადოვმა უხეშად უპასუხა: "მოდი, ჩემს ადგილზე დაჯექი და სხდომა წაიყვანე".